ბათუმის I საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში

გვაქვს პატივი მოგიწვიოთ I საერთაშორისო სიმპოზიუმზე ლექსიკოგრაფიაში, რომელიც გაიმართება 2010 წლის 14 – 16 მაისს ქ. ბათუმში. სიმპოზიუმს უმასპინძლებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სიმპოზიუმის ორგანიზატორები არიან:

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
- არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრი.

სიმპოზიუმის მიზანი:

- უშუალო დიალოგის შესაძლებლობა მისცეს პროფესიონალ ლექსიკოგრაფებს, პრაქტიკული ლექსიკოგრაფიისა და ლექსიკოლოგიის უახლესი პრობლემების მკვლევრებს, გამომცემლებს, ელექტრონულ ლექსიკონზე მომუშავე პროგრამისტებსა და, ზოგადად, ლექსიკოგრაფია-ლექსიკოლოგიით დაინტერესებულ პირებს;
- შეაფასოს ლექსიკოგრაფიული საქმიანობის შედეგები განვითარებულ ქვეყნებში, მისი ისტორია და დღევანდელი ვითარება; გააანალიზოს დარგში არსებული პრობლემები და იმსჯელოს ლექსიკოგრაფიის განვითარების გზებსა და პერსპექტივებზე საქართველოში;
- მოაწყოს დასრულებული და მიმდინარე ლექსიკოგრაფიული პროექტების პრეზენტაცია, გამოცემული ლექსიკონების გამოფენა, ელექტრონული ლექსიკონების დემონსტრირება, ახალი იდეების აპრობაცია;
- წარმოაჩინოს ლექსიკოგრაფიის მნიშვნელობა მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის განათლების, აგრეთვე, ქართული კულტურის განვითარების საქმეში;
- განსაზღვროს სტრატეგია და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები საზოგადოებრივი თუ სამთავრობო უწყებებისათვის.

სიმპოზიუმზე საჯარო ლექციებს წაიკითხავენ გამოცდილი ქართველი და უცხოელი ლექსიკოგრაფები. ასევე წარმოდგენილი იქნება ლექსიკოგრაფიული პროექტები, ელექტრონული და ინტერნეტ-ლექსიკონები.

სიმპოზიუმის მოხსენებების თემატიკა:

- ლექსიკოგრაფია, ლექსიკოლოგია - თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები;
- თარგმნითი ლექსიკოგრაფია;
- ლექსიკონთა აგების პრინციპები;
- დარგობრივი (ტერმინოლოგიური) ლექსიკოგრაფია;
- ელექტრონული ლექსიკოგრაფია;

- ლექსიკოგრაფიასთან დაკავშირებული ლექსიკოლოგიური საკითხები.

ზემოხსენებული საკითხები არ ზღუდავს სხვა ლექსიკოგრაფიულ (ლექსიკოლოგიურ) თემატიკას, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს სიმპოზიუმზე გასატანად.

სიმპოზიუმზე გაიმართება **დისკუსია მრგვალ მაგიდასთან** შემდეგ თემებზე:

- ლექსიკონი, როგორც სამეცნიერო ნაშრომი, ლექსიკოგრაფიული პრინციპები და იდეები;
- ლექსიკოგრაფია და საავტორო უფლებები;
- ლექსიკოგრაფია და სახელმწიფო;
- რა ინფორმაციას ინახავს ლექსიკონი ენის შესახებ;
- ლექსიკოგრაფიის თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები.

სიმპოზიუმის სამუშაო ენები: ქართული, ინგლისური, რუსული.

სიმპოზიუმის რეგლამენტი:

საჯარო ლექცია	40	წუთი
პრეზენტაცია	25	წუთი
მოხესენება	15	წუთი
მსჯელობა	10	წუთი

რეგისტრაცია

სიმპოზიუმის მონაწილედ დარეგისტრირებისათვის ქვემოთ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე გამოგზავნეთ შემდეგი ინფორმაცია:

- მომხსენებლის / სიმპოზიუმის მონაწილის სახელი და გვარი;
- აკადემიური თანამდებობა, სამეცნიერო ხარისხი, ორგანიზაცია;
- მოხსენების სათაური;
- საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ელ-ფოსტა, ტელეფონის ნომრები).

symposium@margaliti.com

აღნიშნულ მისამართზე თქვენი მონაცემების გამოგზავნის შემდეგ მიიღებთ რეგისტრაციის გავლის დამადასტურებელ წერილს.

სიმპოზიუმის მოხსენება და თეზისები

გთხოვთ სიმპოზიუმის მოხსენების თეზისები გამოაგზავნოთ 2010 წლის 1 მარტამდე ელ-ფოსტის მისამართზე: symposium@margaliti.com

ფონტი: სილფაინი, Times New Roman
ზომა: 12
ინტერვალი: 1,5
მოცულობა: მაქსიმუმ 1 გვერდი თითო ენაზე
თეზისები უნდა მომზადდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე (ქართველი მონაწილეებისათვის).

თეზისების მიღებისთანავე დაგიბრუნდებათ შეტყობინება, რომ თქვენ მიერ გამოგზავნილი მასალა შეესატყვისება სიმპოზიუმის მოთხოვნებს და გადაეცა სარედაქციო კოლეგიას.

2010 წლის 1 აპრილს წერილობითი ფორმით გეცნობებათ, რომ თქვენი მოხსენება ჩართულია სიმპოზიუმის პროგრამაში.

გთხოვთ, 2010 წლის 20 აპრილამდე სიმპოზიუმის სარეგისტრაციო თანხა - 100 ლარი - გადარიცხოთ ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი: სს „ბაზისბანკი“
ბანკის კოდი: 220101956
მიმღების დასახელება: ა/ა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანგარიშის ნომერი: 133557

გადარიცხვისას მიუთითეთ:
საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში - 2010

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საორგანიზაციო კომიტეტს.

საორგანიზაციო კომიტეტის კოორდინატები:

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, ნინოშვილის 35;
ტელ./ ფაქსი: 888 222 7 17 97 (პროფ. მარინა გიორგაძე, ჰუმანიტრულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი)
marina_giorgaze@yahoo.com

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრი, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 36
ტელ.: 890 26 95 55 (პროფ. თინათინ მარგალიტაძე, ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი)

symposium@margaliti.com

სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტი:

თავმჯდომარე:

ალიოშა ბაკურიძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი.

თანათავმჯდომარეები:

მარინე გიორგაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტრულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
ლალი ეზუგბაია - არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
თინათინ მარგალიტაძე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი.

კომიტეტის წევრები:

ავთანდილ არაბული - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;
შუქია აფრიდონიძე - ილიას უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
მარიამ მანჯგალაძე - არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
მანანა რუსიეშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი.
ირინე გოშხეთელიანი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
მამია ფაღავა - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი;
მარინე არუშიძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი.

სიმპოზიუმის მასალების სარედაქციო კოლეგია:

მარინე არუშიძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი.

შუქია აფრიდონიძე - ილიას უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

მარინე ბერიძე - არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

ლალი ბინიაშვილი - არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ქეგლის ახალი რედაქციის მეორე ტომის რედაქტორი;

მარინე გიორგაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტრულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ირინÄ გოშხეთელიანი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

თამარ ვაშაკიძე - არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

თინათინ მარგალიტაძე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი;

გიორგი მელაძე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრის უფროსი რედაქტორი;

მამია ფაღავა - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი;

ლია ქაროსანიძე - არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.